173

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 233
ოქტომბრის 1, პარასკევი 1902 წ.
1877

ივერია

№ 233
ნოემბრის
~~ოქტომბრის~~ 1, პარასკევი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ქვრივი ნინა იაკობის ასული მაღალდაძისა; მღვდელი ალექსანდრე ჯალიაშვილი და აზნაური დავით მურაძე, გულითადის მწუხარებით აუწყებენ-რა თვისთა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი, ძვირფასი ქმრისას, ხოლო უკანასკნელი—სიმამრისას

მღვდ. ნიკოლოზ მაღალდაძისას

სთხოვენ მათ მობრძანდნენ დასასწრებლად გარდაცვალებულის გვამის დაკრძალვაზედ კუკიის სასაფლაოზედ 2-ს ნოემბერს, სადაც იქნება გარდახდილ წირვა-ანდერძი.

(1—448—1)

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თ უ მ ა ნ ი ა. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

☞ ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება. ☜

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.

ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

საგურამოში. პეტრე მაჭავარიანთან.

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

გორში:—არ ტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

პირველ ნოემბრიდგან წლის დამლევამდე

„ი ვ ე რ ი ა“

ეღირს 2 მანეთად და 75 კაპეიკად

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნ ა დ ე ჟ დ ა“

ზღვით, მდინარით და ღმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, სიბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, საცა ბარგი და საქონელი უნდა იქნას ჩაბარებული და სხ.).

ინახავს საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისა საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნ ა ვ ო ს ნ ო ბ ა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უმთავარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზე, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.

(120—6.—46)

№ 11. ტელეფონი 617

დილის წარმოდგენა

ქართული თეატრი

კვირას, 3 ნოემბერს, 1902 წ.

დილის იაფ-ფასიანი წარმოდგენა

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

დ ა კ ლ ე ბ უ ლ ი ს ფ ა ს ე ბ ი თ

დილის 12 საათზედ

I

მეორედ გაყმაწვილება

დრ. 4 მოქ. გად. დ. ერისთავის მიერ.

II

დუელი

ვოდევილი ერთ მოქ. გადმოკ. ნ. გალუსტოვის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რონელი და სხ. ბ-ნნი: დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, კ. შათირიშვილი, სარჯველიძე და სხ.

ადგილების ფასი: ლოჟები 4 მანეთიდან 8 მან.-დე; პარტერი 50 კ.-დგან 1 მ.50კ.-მდე, ამფითეატრი 60 კ.-დან 1 მ.-მდე; გალერეია 20 კ.-დან 35 კ.-მდე.

შეგირდებისათვის ადგილები 60 კაპ.

დასაწყისი დილის 12 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „ხალხის მტერი“, „დენიზა“,

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხელმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

თავად-აზნაურობის თეატრი

ტელეფონი 617.

დღეს, პარასკევს, 1-ს ნოემბერს,

ხარკოვის რუსულის ოპერის არტისტების მიერ **ა. პ. ბონაჩიჩის** მონაწილეობით **პ. ი. პოლუიანოვის** საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება

ევგენი ონეგინი

ლირიკული სცენები 3 მოქმედებად და 7 სურათად, მუს. ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: გაშინსკისა, დობრჟანსკისა, სკორუპსკისა, ბაუერი;; ბ-ნნი ბონაჩიჩი, პოლუიანოვი, ტიმაშევიჩი, პეტროვი, პევცოვი, სვობოდინი და სხ.

კაპელმეისტერი **ლ. პ. შტეინბერგი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კასსა გაღებულია დილის 10 საათ. 3-მდე და საღამოს 6-დამ წარმოდგენის გათავებამდე.

ხვალ, შაბათს 2 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება 1) მარგალიტის მაძიებელნი, 2) ფაუსტი (3 მოქმედება).

ორშაბათს 4 ნოემბერს, დანიშნულია ბენეფისი **ვ. მ. დობრჟანსკისა:**

ჩქარა წარმოდგენებში მონაწილეობას მიიღებს **მ. ნ. ინსაროვისა.**

მზადდება წარმოსადგენად კომიკური ოპერა **„ციგანსკი ბარონი“.**

უფროსი რეჟისორი **ივ. ფითოევი.**

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე.

წლ.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის. კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ა. ნ. შჰაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон.

(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. პიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ზ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები3 მან. 5 მანეთამდე.

(წ.)

მთავრობის განკარგულებანი

კადეტთა კორპუსებში ყმაწვილების მიბარება.

მთავარ-მართებლის კანცელარიამ განკარგულება მოახდინა შესახებ იმისა, თუ რა წესით უნდა ითხოვონ თავიანთ ყმაწვილების კადეტთა კორპუსში მიღება, ეს წესები კავკასიის ყველა გუბერნატორს გაეგზავნა და ამას შემდეგ სავალდებულო ხდება ყველასათვის. ეს წესები შემდეგია:

1) ვინც სამხედრო ან სამოქალაქო დაწესებულებაში მსახურებს ანუ უმსახურნია, რა ხალხოსნობისაც უნდა იყოს, თავისის ყმაწვილის მისაღები სათხოვარი მთავარ-მართებლის სახელობაზე უნდა დასწეროს და შტაბში უნდა გაპგზავნოს იმ წესით, რომელიც გამოცხადებულია Въ ст. 1001 св. в. п., кн. XV, изд. 1896 г.

2) ასეთივე სათხოვარი იმ თავად-აზნაურთ, რომელნიც არც მსახურებენ და არც უმსახურნიათ, უნდა მისცენ გუბერნატორს და თან საჭირო საბუთის-ქაღალდები წარუდგინონ. ამისათვის ვადაა დანიშნული 1-ლ სეკდემბრიდგან 1-ლ თებერვლამდე. შეწყნარებულ არ იქმნება ის სათხოვარი, რომელიც ამ ვადაზე უფრო გვიან მიუვათ (თუნდაც ფოსტაში იანვარში მისცენ), ან ისეთი სათხოვარი, რომლითაც ითხოვენ დაგვიანება გვაპატიეთო, აგრეთვე როცა სათხოვართან ერთად საჭირო საბუთი არ იქმნება წარდგენილი დანიშნულ ვადამდე (1-ლ სეკდემბრიდან 1-ლ თებერვლამდე).

3) იმ თავად-აზნაურთ, რომელნიც სამსახურში არ არიან, სათხოვართან ერთად უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები: ა) დაბადებისა და ნათლობის მეტრიკა ყმაწვილისა; ბ) სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოს მოწმობა შესახებ იმისა, რომ მთხოვნელი რუსეთის მთავრობისაგან თავად-აზნაურთა წოდებაში დამტკიცებულია; გ) პოლიციის მოწმობა ოჯახობრივისა და ნივთიერის მდგომარეობის შესახებ, სადაც დაწვრილებით უნდა იყოს გამოცხადებული, ვისგან შესდგება ოჯახი, ვისის ხარჯით ინახებიან, რამდენის ხნისანი არიან, შვილები სად და ვისის ხარჯით სწავლობენ; აგრეთვე დაწვრილებით ჩამოთვლილი უნდა იყოს ამ მოწმობაში რა მამული აქვს და რამდენი შემოსავალი აქვს იქიდან მთხოვნელს; აქამდე რომ იწერებოდა მოწმობაში „მთხოვნელი ღარიბია და საშუალება არა აქვს თვისის ხარჯით შვილები გამოზარდოსო“ ამას იქით აღარ მიიღება; დ) ექიმის მოწმობა, რომ ყმაწვილი ჯანმრთელია და ყვავილიც აცრილი აქვა და ე) დაწესებული ხელ-წერილი, რომლითაც მთხოვნელი ვალდებული ხდება თავისი ყმაწვილი უკან წაიყვანოს, როცა ამას კორპუსის მთავრობა მოითხოვს.

სათხოვარში გამოცხადებული უნდა იქმნეს აგრეთვე, რომელ კლასში უნდა მისცეს ყმაწვილი, სად უსწავლია, ან სად სწავლობს. თუ ყმაწვილი არსად სწავლობს და მოსამზადებელ კლასში შესვლა უნდა, კანონით უნდა იცოდეს: რუსულის გაკვრით წაკითხვა, წიგნიდან გადმოწერა და საჭირო ლოცვები; თუ ესენი არ ეცოდინება—ყმაწვილს კორპუსში არ მიიღებენ.

თუ ზემო მოყვანილი მოთხოვნილებანი კანონისა მთხოვნელმა არ აასრულა და გუბერნატორის მაგიერ მთავარ-მართებელს მიჰმართა თხოვნით, იმის სათხოვარი განხილული არ იქმნება.

ტფილისი, 1 ნოემბერი.

გუშინ, მკითხველები წაიკითხავდნენ გაზეთს „ივერიაში“ ბ-ნის ნადიკვრელის წერილს „კახეთის რკინის გზაზე“.

ის ამბავი, რომელსაც ბ-ნი ნადიკვრელი გვიამბობს, დიდად საყურადღებოა და ამისათვის საჭიროთა ვრაცხთ, ჩვენი აზრი გამოვსთქვათ შესახებ ამერიკელ კომპანიის ახალ-მოვლენილის წარმომადგენელის ბ-ნის ლა-მარკისა.

ბ-ნს ლა-მარკს გაუვლია ტფილისიდამ თელავამდე, სადაც თელავის მაზრის მარშალს დ. ე. ჩოლოყაშვილს თავად-აზნაურობის კრება მოუხდენია. ამ კრებაზედ ბ-ნს ლა-მარკს კრებისათვის მოუხსენებია, რომ ერთი მეათედი გზის ღირებულებისა, ანუ 10%, აქციებად იქცევა და ეს აქციები უნდა გაიყიდოს აქ, კახეთსა და ტფილისშიო.

აქციების აქავე გაყიდვა დაარწმუნებს გზის მკეთებელთ, რომ იგი ეკონომიურად სასარგებლოა, რაც ძალიან გაადვილებს ობლიგაციების გასაღებასაო. გარდა ამისა, ბ-ნ ლა-მარკს მოუთხოვნია, რომ კახელნი მემამულენი შეეწივნენ გზის გამყვანთ თვისის მამულის უსასყიდლოდ დათმობით.

ლა-მარკის ზემოდ აღნიშნულ სიტყვებიდგან ნათლადა სჩანს, რომ რკინის გზას მხოლოდ მაშინ გაიყვანს კომპანია, როცა ჩვენი კახელები ნაღდის ფულითაც მიეშველებიან და ლიანდაგისათვის საჭირო მამულსაც მუქთად დაუთმობენ.

ეს ისეთი ძნელი პირობა გახლავთ, რომ სწორედ მოგახსენოთ, გვეშინიან ვაი თუ მომავალმა თიანეთის რკინის გზამ ერთს საშინელს მდგომარეობაში ჩააყენოს ჩვენი ისეც გაღატაკებული თავად-აზნაურობა. როგორც კონცესიონერები გვარწმუნებენ, თიანეთზე გაყვანილი გზა რვა მილიონი უნდა დაჯდეს; მაშასადამე, ჩვენს კახელებს მოუნდებათ 800,000 მანეთის აქციების ყიდვა. ლიანდაგიც მოითხოვს სულ რომ ცოტა—200,000 მანეთის მამულს; გამოდის, რომ ჩვენმა კახელებმა უნდა ამსხვერპლონ ბ-ნ ლა-მარკის თაოსნობით გაყვანილს რკინის გზას თვისი საკუთარი ერთი მილიონი ფული.

მერე, სად არის ეს ერთი მილიონი? განა ჩვენ არ ვიცით, რა შეძლების ხალხია კახეთში? ამოდენა ფულის პატრონი რომ ყოფილიყვნენ კახელები, ლა-მარკიც აღარ დაგვჭირდებოდა, რადგანაც, ვისაც ერთი მილიონი აქვს, ის უეჭველად მოახერხებს შვიდისა და რვა მილიონის საქმის გაკეთებას.

მეორეს მხრივ, ჩვენის აზრით, ბ-ნი ლა-მარკი ამერიკულად არ იქცევა. ის, როგორცა სჩანს, თითონ არ არის დარწმუნებული, რომ თიანეთზე გაყვანილი გზა საზარალო არ იქნება და ამიტომ თხოულობს, ჯერ თითონ კახელებმა შესტოპონ ამ საეჭვო საქმეში და მერე თითონ ჩამოვა ნელ-ნელა საჭირო თანხა; ნელ ნელა იმიტომ, რომ დანარჩენი შვიდი მილიონი ფული ერთბაშად არ მოუნდება და ცოტ-ცოტად სახარჯო ფულს ყოველთვის იშოვნის, როდესაც ერთი მილიონი კახელებისაგან მიღებული ექნება.

მაშინ, როდესაც ბ-ნი ლა-მარკი თელავში ბრძანდებოდა, ტფილისში ჩამოვიდა გამგებელი „გუსტავ-ლისტის“ კომპანიისა - ედუარდ კრანგალსი და გვაცნობა, რომ ამ ჟამად თითონ გუსტავ-ლისტი პეტერბურგშია და მეცადინეობს ნება მიიღოს კახეთის რკინის გზის გაყვანისათვის და დარწმუნებულია, რომ სამინისტრო დაყაბულდება, რადგანაც არც ხაზინისაგან, არც თავად-აზნაურობისაგან და არც კერძო კაცთაგან არასა თხოულობს და საკმაო ნაღდ ფულს გარდა, რელსები, ვაგონები და სხვა საჭირო მასალა თვისი საკუთარი ქარხნებისა აქვს. ბ-ნს ლისტს, როგორც ამბობენ, ამ ჟამად ეკუთვნის ურალისა და იუზოვის ქარხნები და, რა საკვირველია, ამ ქარხნების პატრონს არასოდეს არ გაუჭირდება იმისთანა რკინის გზის გაყვანა, რომელიც 5—8 მილიონი დაჯდება.

„გუსტავ ლისტის“ პირობა, რასაკვირველია, უკეთესია, ვიდრე ლა-მარკისა. ამისათვის ჩვენ მოვალენი ვართ სახეში ვიქონიოთ მისი წინადადება და მანამ იმისთანა კაპიტალისტს არ იშოვნიან კახელები, რომელიც არავითარს მსხვერპლს არ მოითხოვს მათგან, მანამდის არავითარს საბოლოო გარდაწყვეტილებას ალაგი არ უნდა ჰქონდეს ჩვენში. ერთის სიტყვით, დიდი სიფრთხილეა საჭირო ამ მძიმე საქმეში და ამიტომ ვურჩევთ ჩვენს მემამულეებს, დიდი გამჭრიახობა გამოიჩინონ და კაპიტილისტების ჩვეულებრივს ხაფანგში არ გაებან.

ტფილისი

◆ დღეს, 1 ნოემბერს, დანიშნულია კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება. კრებას საყურადღებო მოხსენებანი აქვს განსახილველად.

◆ სახელმწიფო ქონებათა და მიწად მოქმედების მინისტრის წარმომადგენელმა კავკასიაში შეადგინა მცოდნეთაგან კომისია, რომელსაც დაავალა გამოიკვლიოს რამდენად საშიშია საზღვარ გარეთ აღმოჩენილი ავადმყოფობა ბამბის მცენარისა, რა ვნებას მოუტანს ეს ავადმყოფობა ბამბის მომყვანთ კავკასიაში და რა ღონის ძიებანი უნდა ვიხმაროთ, რომ ეს ავადმყოფობა არ შემოიტანონ კავკასიასა და რუსეთშიო.

◆ ტფილისის პოლიცმეისტრის ყურამდეც მიუღწევია ქალაქში შეშით მოვაჭრეთა თავგასულობის ამბავს, რომ იგინი გაყიდვის დროს რაღაც ხერხს ხმარობენ და ზომაში ხალხს ატყუებენო. ამისთვის პოლიცმეისტერმა 3 ნოემბრისთვის დანიშნა კრება შეშის საწყობთა პატრონებისა. ამ კრებაზედ უნდა შემუშავდეს საერთო სავალდებულო წესი, რომელიც უნდა სახელმძღვანელოდ იყოს შეშის გაყიდვის დროს.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ სამხრეთ რუსეთის ყურძნის გამყიდველთა კომიტეტისაგან მიიღო თხოვნა, რომ რადგანაც მომავალ წლის 9—15-დგან ოდესსაში დანიშნულია მევენახეთა კრება, ამიტომ გთხოვთ იყოლიოთ თქვენი წარმომადგენელი ამ კრებაზედ და გაავრცელოთ კიდეც მევენახეთა შორის კრების აზრი და სარგებლობაო.

◆ შაბათს, 2 ნოემბერს, ავჭალის ქუჩის სახალხო თეატრში დანიშნულია წარმოსადგენად ავ. ცაგარლის პიესა „როგორც მოხვალ ხვინაო, ისე წახვალ შინაო“ 4 სურათად. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა.

◆ იოსებ იმედაშვილი ჰბეჭდავს ბაჩანას ახალს პოემას „დიაკვნიანი“, რომელიც ამ დღეებში გამოვა გასასყიდად. წიგნში ჩართული იქნება თვით ბაჩანას სურათიც.

◆ მოგვივიდა ი. იმედაშვილის გამოცემათა მე № 22-ი—კაცი ვარ და ქუდი მხურავს, კომედია სამს მოქმედებად. თხზ. რევ. ვაჩნაძისა. წიგნი სუფთად დაბეჭდილია და ჰღირს ერთ აბაზად.

◆ იგივე იმედაშვილი ჰბეჭდავს ახალს დიდს წიგნს—ცხოვრების სარკე (პიესების კრებული, წიგნი მესამე) ამ შინაარსით.

„ყაჩაღები, დაქცეული ოჯახი, დედის ერთა, უბედური დღე, ძალათ ავაზაკნი, მამასახლისის არჩევა, დუელი, საუბედურო დებიუტი, გულმა იგრძნო, მხიბლავი ხმები, ტრაგიკული მდგომარეობა, ორასი ათასი, დივერტისმენტი, წერილები თეატრის შესახებ და სხ.

ეს წიგნი გამოვა სურათებით.

◆ ექიმს ბ-ნ აბელ იაშვილს რუსულს ენაზედ დაუწერია მიმოხილვა ქართულის ძველის სამკურნალო მწერლობისა, რომელიც კავკასიის სამკურნალო საზოგადოების „ერთ კრებაზედ საჯაროდ წაიკითხა, აღწერა დიდათ საინტერესო გამოდგა და დამსწრე წევრთაც ყველას მოეწონა.

ძველ „კარაბადინთა“ აღწერაში კარგად არის გამორკვეული ქართულ ექიმობის უნარი შირიმის მკურნალობისა, დოსტაქტრობისა და ჯარო ექიმობისა, გატეხილის ძვალის არტახებით შეკვრა და სხ. შიგ მოთავსებულია ხუთი სურათიც. პირველი სურათი ჯანაოზ ექიმისა არის, მეორე „ბატონების“, მესამე როცა ქართველი ექიმი შირიმით ავად მყოფს კენჭს უღებს, მეოთხე წამლების კვეთებისა და მეხუთეც მკურნალობის ერთ-ერთს მომენტს წარმოადგენს. ეს საინტერესო აღწერა ცალკე წიგნადაც იბეჭდება.

◆ სამშაბთს, 5 ნოემბერს, დანიშნულია ქალაქის ადგილ-მამულების მეთვალყურე კომისიის წევრთა კრება, რომელიც განიხილავს ნაძალადევში მცხოვრებთა მამულების საქმეებს.

◆ გუშინ-წინ, 30 ოკდომბერს, მოხდა ქალაქის ღამის თავშესაფართა კომისიის წევრთა კრება კომმისიამ დაადგინა: დიდუბის მეორე ღამის თავ-შესაფარის მეორე სართული გადაკეთდეს წარმოდგენების და კონცერტების გასამართავად და სახალხო წარმოდგენებისათვის მოწყობილი შენობა გარდაეცეს სახალხო წარმოდგენების გამმართველ სექციასო. კრებამ განიხილა საბჭოს ექიმის ქ-ნ შჩერბინინის მოხსენება ქალაქის პირველ თავშესაფარის სანიტარულ მდგომარეობის შესახებ. კომმისიამ დაადგინა; ადგილობრივ გაიშინჯოს თავშესაფარი; იმ საგნის განხილვა, რომ უსასყიდლოდ მიეცეს ჩაი-შაქარი და პური თავშესაფართაო, კომისსიამ გადასდო შემდეგისათვის.

◆ მიწად-მოქმედებისა ჲ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს უფროსმა მდივანმა მოსწერა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, გთხოვთ შეგვატყობინოთ, რამდენად სახეირო იქნება რუსეთის მებაღეობისათვის და რა სარგებლობას მოუტანს სახელმწიფოს, რომ სამინისტრომ ნება დართოს ზოგიერთს ფირმას იაპონიიდგან ყვავილებისა და სხვა მცენარეულობის შემოტანისა რუსეთშიო; ამაზედ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ გუშინვე უპასუხა მდივანს შემდეგი: ერთი მიზეზთაგანი კავკასიაში ფილოქსერის გავრცელებისა იყო ამ ყვავილების შემოტანა საზღვარ-გარეთიდგან; თუმცა საზოგადოება სცდილობდა თავისს მხრივ ყოველივე ცნობა გაევრცელებინა ფილოქსერის წინაამდეგ, მაგრამ რადგანაც მცხოვრებთ ჯერ არ მიუღწევიათ სასურველ განვითარების წერტილამდე, ამიტომ იმ ზემოხსენებულ მცენარის მოვლის შესახებ ადგილი ვერ ითვისებდა ცოდნას და ამიტომ ყოველივე ცდა საზოგადოებისა ამაოდ რჩებოდაო; ამიტომ საზოგადოება საჭიროდ სცნობს, რომ იმისთანა რამ წესი შეიმუშავოს სამინისტრომ, რომლითაც ამ მცენარეთა შემოტანა იაპონიიდგან და საზღვარ-გარეთიდგან აღეკრძალებოდეთ მებაღეებსაო.

◆ ტფილისის გუბერნატორმა მიმართა ქალაქის თავს და სთხოვა, 15 ნოემბრამდის შემატყობინეთ ამ უკანასკნელ ხუთის წლის განმავლობაში რამდენი მამული გადავიდა თავად-აზნაურობისა ქალაქის მცხოვრებთა ხელში და რა უნდა ღირდეს ეს მამულებიო.

◆ ქალაქის სავაჭრო პოლიციის უფროსმა ზედამხედველმა ბ-ნმა ბაბოვმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას მომავალი 1903 წლის ხარჯთ-აღრიცხვა სავაჭრო საქმისა და სავაჭროთა ზედამხედველობისა; ბ-ნ ბაბოვის ანგარიშიდგან სჩანს, რომ 10 სავაჭრო ზედამხედველს, 2 მათს თანაშემწეს და 6 „ბაზარნიკს“ მოუნდებათ 17140 მან; ბაბოვი დასძენს თავისს ხარჯთ-აღრიცხვაში, რომ რადგანაც ქალაქის ვაჭრობამ იმატა და მეთვალყურეთა ზემოხსენებული რიცხვი ველარ უძღვება საქმეს, ამიტომ მომავალ წელს უნდა მოემატოს 2 ზედამხედველი და 3 ბაზრის მეთვალყურეო.

◆ ტფილისის გუბერნატორმა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ საგუბერნიო ექიმების კომისიამ აღმოაჩინა, ქალაქის საყასბოში უხეიროდ ასმენ ბეჭედს ღორის ხორცსა და დახოცილ ღორებსაო, საჭიროა ისე ეკვროდეს ეს ბეჭდები, რომ ხალხი ადვილად ამჩნევდესო; ქალაქის გამგეობამ გუბერნატორის შენიშვნა გარდასცა სასანიტარო საქიმო საბჭოს განსახილველად, საბჭომ, გუშინ, 31 ოკტომბერს, შეატყობინა გუბერნატორს, რომ ბეჭდები საყასბოში საკმარისად შესამჩნევად ეკვრის ღორის ხორცსა და ღორებსაო და თუ ზოგიერთი ბეჭედი გადადის, ეს იმის ბრალია, რომ თვით მეღორეები და ვაჭრები ხშირად რეცხავენ, რეცხვის დროს მაგარ ჩოთქით ხეხავენ კანს დასარბილებლად და ამ რეცხვისა და ხეხვის დროს, ეჭვი არ არის, ბეჭედი გადადისო. სასანიტარო საბჭომ მაინც გარდასწყვიტა თითო ფეხს სამს ალაგას ბეჭედი დაერტყას და შებას თითო დაბეჭდილი ტყვია, რომლებზედაც ერთის მხრივ აღბეჭდილი იქმნება ტფილისის გერბი და მეორეს მხრივ—ბეჭედი ტფილისის სასანიტარო საბჭოსი; ტყვიების შესაკვეთად საბჭოს გამოანგარიშებით დაიხარჯება 305 მან. სასანიტარო საბჭო სთხოვს აგრეთვე გამგეობას, ეს ხარჯი შეიტანეთ მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაშიო.

ჩვენებური ამბები

სტეფანწმინდა. (საქართველოს სამხედრო გზა) ეს შვიდი წელიწადი იქნება, რაც ტფილისის გუბერნიის და თერგის ოლქის შუა დარიალს დაარსდა საბაჟო. სადაც გადამდებ ჭირის გადატან-გადმოტანის შიშით ისინჯება რქოსანი საქონელი და თბილისის გუბერნიიდგან მოტანილი ტყავები, ხორცი, თივა, მატყლი. ეს ყველა კარგი, გარნა უბედურება ეს არის, რომ ზოგიერთ საცოდავ მთიულებს დღისით ქალამნებიდგან აცლიან თივასაც, რომელიც წინდის მაგივრობას უწევს კაცს...

ი. ღუდუშაური.

ხონი. როგორც მკითხველებმა იციან, ქვემო-იმერეთში შარშან ცუდი მოსავალი იყო სიმინდისა და ღვინისა, და ამიტომ ერთიც და მეორეც ძვირობაა ჩვენში. წელს სიმინდს კარგი მოსავლის პირი უჩნდა (ვენახები-კი ყინვამ გაგვიფუჭა), მაგრამ ბოლოს იმედები აქაც გაგვიმტყუნდა. ავდარმა წაახდინა მოსავალი, ნაადრევ თოვლმა დასზრა. აი, მაგალითად: გორდიდგან და კინჩხიდგან გვატყობინებენ, სიმინდზედ და ყურძენზედ დაგვითოვაო და იძულებული შევიქენით დაუმწიფებელი სიმინდი ჩალით აგვეჭრა და ყურძენი მოგვეკრიფაო.

ჩვენშიც ცუდი ამინდების შიშით გაფაციცებით შეუდგნენ რთველს. ყურძენი თითქმის ყველამ მოჰკრიფა; მოსავალი ძლიერ ცოტაა; ვინც უწინ 5—10-მდე საპალნეს ასხამდა, წელს 2—4-მდე თუ გამოუვიდა, ღმერთს მადლობას შესწირავს.

26 სექტემბერს ხონის სემინარიის დირექტორმა გამოუცხადა მოწაფეებს, რომ ყოველთვის, თუ-კი თავისუფალი დრო გექნებათ, შეგიძლიანთ უბილეთოდ სასეირნოდ წახვიდეთო; აქნობამდის-კი მოწაფეებს არ შეეძლოთ სემენარიიდგან ფეხის გადადგმა უბილეთოდ და ისიც მარტო კვირა-უქმე დღეს, თუ კარგი დარი იქნებოდა.

ინი.

კავკასია

არდონი (კავკავის მაზრა). ცამეტს ღვინობისთვეს არდონის ალექსანდრეს სამისიონერო სასულიერო სემინარიის რექტორმა მ. სერგეიმ შემოუერთა მართლმადიდებელ ეკკლესიას ოთხი მოწაფე ამ სემინარიისა, ტომით დუხაბორები.

ყადგარონი (კავკავის მაზრა). ამას წინად ღამე ძნებს გაუჩნდა ცეცხლი. ხალხმა ბევრი ველარა უშველა-რა და ნახევარზე მეტი სულ გადაიბუგა. ზარალი 1500 მანეთამდეა.

თიბაამთა (კავკავის მაზრა). აქეთ მხარეს მთებშიაც იჩინა თავი ქურდობამ. ამთვის ათს აქაურს მამასახლისს აცნობეს, რომ ამაღამ, ამა-და-ამ გზაზედ, მოპარულ ცხენებს ჩამოატარებენ და უყარაულეო. მართლაც მამასახლისმა წაიყვანა გზირი, ნაცვლები ჲ ჩაესაფრა დანიშნულს ალაგას. საათის ცხრა იქნებოდა, რომ ქურდები ცხენებით მოადგნენ ჩასაფრე-

ფელეტონი

მიტრო ჭედილაშვილი

(მოთხრობა)

V*)

მიტრომ, ფერშლების ჩაგონებით და ხელმძღვანელობით, ქართულ წიგნების კითხვა დაიწყო და დღითი-დღე მაღლდებოდა გონებრივად მეზობლებთან შედარებით; თანდათან ეკარგებოდა ხალისი სოფლის ძმა-ბიჭებთან კავშირისა. მიტრო კითხულობდა უმეტეს შემთხვევაში რომანებს; სხვა უფრო საქმიანი წიგნი სრულებითაც არ აინტერესებდა. ბევრჯერ სინჯა, მაგრამ დაიწყებდა თუ არა კითხვას, მაშინვე ჩაეძინებოდა ან თავი ასტკივდებოდა.

— არა, ძმაო, არა! მომაშორეთ ეგენი და ერთი ხეირიანი საარშიყო წიგნი მომეცით და მადლობას გეტყვით,—იტყოდა ხოლმე მიტრო ასეთ შემთხვევაში.

სხვათა შორის მიტროს დაეზეპირებინა რამდენიმე უცხო სიტყვა ფერშლებისაგან გაგონილი, ზოგი წიგნებიდან ამოეკითხა, მაგრამ უცნობ სიტყვების განმარტებისათვის სრულებითაც არ იწუხებდა თავს. არა, იმას ეს სიტყვები წარმოსათქმელად მოსწონდა და არა აზრისათვის.

მაგალითად, ძლიერ მოსწონდა შემდეგი სიტყვები: ლიბერალი, ინტელლიგენტი, კოსმოპოლიტი, იდეალი და პრინციპი. გამოთქმა სიტყვებისა რაღაც თავისებური ჰქონდა.

ლიბერალის მაგიერ ლებილარს ამბობდა, იდეალი, იდიალი, კოსმოპოლიტი, კოსმოკოლიკი და პრინციპს-კი პრინციკი დაარქვა. ამ საუნჯეს სულ სოფლად ხარჯავდა. მაგალითად, როცა ქალებს ეკკლესიისკენ, გალავნისაკენ მიუძღვებოდა, დრო-გამოშვებით მიაძახებდა: ინტილიგენტებო, გამაიარეთ ჩქარაო—ეტყოდა თავმომწონედ, კოსმოკოლიკო, დილა მშვიდობისაო.

მიტროს ლაპარაკშიაც განათლებულობა დაეტყო და ამ მხრივაც ჰკარგავდა სოფლურ ელფერს. როცა ფერშლები და ბებია ქალი ექიმს გარს შემოეხვევოდნენ და მეგობრულად ებაასებოდნენ, მიტროსაც მოსწყურდებოდა საერთო ბაასში მონაწილეობა მიეღო, და ეს წყურვილი იყო გამოწვეული არა სულიერ მოთხოვნილებით, არამედ, თავის მოსაწონებლად. ამ შემთხვევაში მიტრო ფერშლებს დაუდგებოდა გვერდით, ორივე ხელებს ახალუხის ჯიბეში ჩაიწყობდა და საჭიროებისამებრ ხან თავს გააქან-გამოაქანებდა, ხან გაიცინებდა, ხან სერიოზულ მეტყველებას მიაღებინებდა სახეს. თუმცა ამავე დროს არაფერი ესმოდა საერთო ლაპარაკისა. ცალის თვალით აივნისაკენ იყურებოდა, ხომ ჰხედავენ, რა ბიჭიცა ვარო. გაათავებდნენ თუ არა ბაასს, მიტრო ღიმილით აივანზე გამოვიდოდა და კარებში უეჭველად გაიცინებდა და იტყოდა: ჩორტი ო ზნაიტ, ჩორტი ო პობრალო და ისევ დარბაზში შევიდოდა.

ფერშლები ერთმანეთს კოლლეგას ეძახოდნენ და მიტრომაც კოლლეგაობით დაუწყო ამათ ხსენება. ერთხელ, როცა ექიმი შინ წასასვლელად ცხენზე შეჯდა, აღვირი მიტროს ეჭირა ხელში, ექიმმა მადლობა გარდაუხადა და მიტრომ „მადლობად არ ღირს კოლლეგაო“ მიაძახა.

ყოველ თვის ოცს, ქსენონის ექიმი, ჯამაგირისათვის სამაზრო ქალაქ წალკოტს მიდიოდა ხოლმე საკუთარის ეტლით და მიტროც თან მიჰყავდა მუდამ მცველად, მაგრამ გვერდით, ან პირდაპირ როდი მოისვამდა, არამედ კოზლაზედ წამოსკუპებდა ამ სადღესასწაულოდ გამოპრანჭულ, ძალიდ გაფერშლებულ სოფლის დონჟუანს. პირველ ხანებში მიტროს თავიც მოსწონდა კოზლაზე ჯდომით, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ძლიერ ეთაკილებოდა და სულითა და გულით სცდილობდა, როგორმე თავიდან აეცილებინა ეს სირცხვილი და, გაჯავრებული, სულ ამას გაიძახოდა:

— რას ამბობ, კ-ცცოო! მთელი წალკოტის ვაჭრები და პრიკაზჩიკები მიცნობენ კოზლაზე რო დამინახავენ წამოსკუპებულს, ერთ ალიაქოთს ამიტეხენ ხოლმე, ლამის ყელი გამომაჭრევინონ იმ ოჯახ-დაქცეულებმა, ისე, დამცინიან, ისე, ისე, რომა... „კაცი არა ხარ, ქუდი არა გხურამ, შე ოხეროვო? განა ამ თქვენ დოხტურს ფაიტონში ადგილი არ აოხრია, რო ჩვენ შესარცხვენად კოზლაზე არ წამოგაპამპულოსო?

VI

ეს ხანა მიტროს ტრიუმფის ხანა იყო და უნდა უეჭველად ესარგებლნა ამ ბრმა, უცბად მონაბერ შემთხვევით. მიტრო თუ როდისმე დაქორწინდებოდა, უკეთესი დრო არ დაუდგებოდა არასოდეს; აი ეხლა უნდა გამოეჩინა ბიჭობა, რომ ერთის გემრიელის ლუკმისათვის ჩაეჭიდა ხელი.

მიტროს ცოლის შერთვას დედა მისი მელა იყო ძლიერ მოწადინებული. მაჭანკლები ათობით მოადიოდა დღეში; იყო ერთი ცილაობა, გახმობ-გამოხმობა, გასინჯვა სანეფოისა და მისის ოჯახისა და ყველანი კმაყოფილნი რჩებოდნენ, მაგრამ მიტრო ცივს უარზე იდგა: „რაღაცას გული არ მითხრობს, ალბათ ჯერ არ მიწერია ცოლის შერთვაო, მართლულობდა თავს. მაგრამ ნამდვილად-კი ამის მიზეზი იყო მისი ნახაზეინარის გრიგოლა ღიპიანიძის ქარაფშუტა ქალი სონა, რომლის ხელში ჩაგდებაც სულითა და გულით უნდოდა მიტროს.

„თუ გამიგეს, შავირთავ, თუ არა და რას ვკარგავო“, ფიქრობდა და აი ეს იყო ჯერჯერობით მიზეზი რომ ის დაქორწილებაზე უარს ამბობდა და მით მშობლის გულს ძლიერ აღონებდა.

სონა პირუტყვულის განზრახვით უყვარდა, სხვა გვარ ადამიანურ სიყვარულს არ იყო ჯერ ჩვეული. ცქრიალა სონას პატარაობითვე იცნობდა. ჯერ „ზავედენიაში“ სწავლობდა, მაგრამ უნიჭობისა გამო, პირველი კლასიდან გამოაბრძანეს. სამაგიეროდ კარგად იცოდა: ტანცაობა, სიმღერა, გიტარასა და თარზე დაკვრა და უმთავრესად არშიყობა. მიტროს, როგორც შინაურ კაცს, მუდამ ღია ჰქონდა კარები ამ სოფლის მძარცველის ოჯახში. ამ სიარულში გრიგოლას ქალი სრულიად ააფორიაქა, თავის სასარგებლოდ მომართა.

ერთ ჩამობნელებულ ღამეს, ასე საათის პირველზე, როცა მთვრალი გრიგოლა ღრმა ძილში იყო, სონიჩკა ადგება, საჩქაროზე თბილ შალს წამოისხამს და ფეხ-აკრეფით აივანზე გამობრძანდება; პირობისამებრ, ნაბადში გახვეული მიტროც დაუხვდება. ეს პირველი საიდუმლო შეხვედრა იყო შეყვარებულებისა.

— შენა ხარ, მიტრო?

— მე ვარ, მე, ჩემო სულიკო, ჩემო ლამაზო!—მიუგო მიტრომ,—მოჰხვია ხელები და ჩაიკრა გულში. ქალიც, მთლად ცეცხლად გადაქცეული, უწინააღმდეგოდ დაემორჩილა და იმანაც მხურვალე და აღგზნებულ კოცნით პასუხი გასცა. ერთი-ორი წუთიცა და უეჭველად იმსხვერპლებდა სონას უმანკოებას, რომ, მისდა საუბედუროდ, თუ საბედნიეროდ, გრიგოლას არ გამოჰღვიძებოდა. წამოდგა თუ არა, მისმა გამჭრიახმა თვალებმა ფანჯრიდგანვე შეჰნიშნა აივანზე მდგარი ორი არსება და ისე ფრთხილად გამოცოცდა კარში, რომ თავდავიწყებაში შესულ ახალგაზდებს არც-კი შეუნიშნავთ. გრიგოლმა ორივე იცნო, მივარდა ჩუმად, ხმა-ამოუღებლივ, დააფრინდა ქალს კოჩორში და წიხლის კვრით სახლში შეაგდო; იმავე დროს თავისი ცალის მძლავრი ხელით მიტრო დაიჭირა, მოუბრუნდა, სუმადვე დასცა ძირს და შეუბრალებლად დაუწყო ცემა გვერდებში.

— როგორა! ეგენიც გამიბედე შე ლაწირაკო? არ გეყო, რაცა გცემე-გტყეპე! კიდევ მოგენატრა, არა? მოგენატრა და აი!

მერე წამოაყენა, ჰკრა იმასაც წიხლი და ძირს გადმოუძახა.

დამარცხდა მიტრო, შერცხვა გაქარწყლდა, მაგრამ რის სირცხვილი, რის დამარცხება! ხომ არავის დაუნახავს და!

VII

იმ ღამესვე გარდასწყვიტა მიტრომ ცოლის შერთვა და მეორე დღეს დედასაც განუცხადა თავისი სურვილი.

— მაგრე, მაგრე გენაცვალოს დედა შენი მელაი! შენ ვინ დაგიჭერს, ჩემო შვილიკო ქალს, სასახელო მყევხარ, სასახელოვო,—ეალერსებოდა დედა. მამას კი ვინლა ჰკითხავდა ბრუნდსა თუ მართალს.

არ გაუვლია ათ დღეს, რომ მიტროს გაურიგეს ვიღაც შორეულ შეძლებულ მღვდლის ქალი. ფერშალიაო, ეთქვათ მღვდლისათვის,

---

*) იხ. „ივერია“ № 232.

ბულთ. ჩასაფრებულებმა დაახალეს თოფები და შეუყვირეს ქურდებს: „დადექით, ველარ წაგვიხვალთო“. ქურდებმა ანებეს თავი ცხენებს და გაიქცნენ. მდევარი გამოედევნა, დაუწყეს ძებნა ქურდებს, მაგრამ ამაოდ. ბნელ ღამეში სადღაც მიიმალნენ. ცხენები რაჭიდან მოპარული აღმოჩნდა.

რუსეთი

მოსკოვისა და პეტერბურგის ლიტერატორთ განუზრახავთ აღკრძალული „მწერალთა კავშირი“ ისევ განაახლონ და მასთან დააარსონ სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეთა საზოგადოება.

— პეტერბურგში მესტამბე რაპოპორტს ნება აუღია ებრაელთა ენაზე გამოსცეს გაზეთი—„Der Freund“.

— როგორც „Волгарь“-ი იტყობინება, სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის საბჭოს გარდაუწყვეტია სესხის შეუტანლობის გამო გაიყიდოს მამულები:

სამარის გუბერნიაში—	50,000	დესიატინა.
უფისაში . . .	65,000	„
სარატოვისაში.	100,000	„
სიმბირსკისაში. .	75,000	„
ნიჟნი-ნოვგოროდ.	40,000	„
პენზისაში . . .	75,000	„
ყაზანისაში. . .	75,000	„
სულ . .	480,000	დესეტინა.

— გზათა სამინისტროს განუზრახავს მატარებლებში გამართოს განსაკუთრებული განყოფილებანი გზაში მოულოდნელად ავად გამხდართათვის. აქვე იქნება საადფთიაქო წამლების პატარა საწყობი. ამბობენ, ერთი კონდუქტორი მატარებელში ფერშალი უნდა იყოსო.

— კომისია, რომელსაც აზრადა აქვს განქორწინების საქმე გაადვილოს, ნოემბრის დამლევს დაიწყებს პროექტის განხილვას. როგორც ამბობენ, განქორწინების საქმის წარმოება მხოლოდ ნაფიც ვექილთ მიენდობაო.

— გზათა სამინისტრო ამ კვირია შეუდგა საქმის განხილვას, თუ როგორ უნდა მოჰხდეს გაუმჯობესობა საბინაო და სასანიტარო ყურის გდებისა იმ მუშათა არტელის ცხოვრების შესახებ, რომელიც რკინის გზებზე მუშაობს.

— პეტერბურგში არსდება ერთი საინტერესო საზოგადოება, რომელსაც აზრად აქვს გააცნოს უცხოელებს რუსეთის მრეწველობა, საფაბრიკო და საქარხნო საქმე, სიმდიდრე, ბუნების სიმშვენიერე და ღირს-შესანიშნავი ადგილები. ინიციატორთ უკვე დაუსრულებიათ წესდების შედგენა და მალე წარუდგენენ მთავრობას დასამტკიცებლად.

— ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს სასოფლო ბანკისა და შემნახველ-გამსესხებელ კასის წესდება შესცვალოს.

— გაზეთები იტყობინებიან, რომ ამ მოკლე ხანში შეუდგებიან იმ წესების ძირიანად შეცვლას, რომლებიც მედიცინის დოქტორობის ხარისხის მისაღებად აქნობამდე არსებობდაო.

— რადგანაც სატყეო ინსტიტუტში კურს დასრულებულები იმდენი ვერ არის, რამდენიც საჭიროა, ამისთვის მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გარდასწყვიტა „ლესნიჩის“ თანამდებობის ეგზამენის დაჭერის ნება მისცეს იმათ, რომელთაც საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი აქვთ დასრულებული.

— შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსდა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც აზრად აქვს სულით ავადმყოფთა თვალ-ყურის გდება გააფართოვოს.

— პეტერბურგის შეუძლოთა და ღარიბთა თავშესაფარის სარევიზიო კომისიის წევრს ბ-ნ დიშკოს მოხსენება წარუდგენია ამავე საზოგადოების გამგეობაში იმის შესახებ, რომ თავშესაფარის კონტრაგენტი პუზირევი მეორე ხარისხის ხორცს მაგიერ, ცარიელი ძვალით უმასპინძლდება თავ-შესაფარში მყოფთაო. ეს მოხსენება გამგეობის ერთ წევრმაც დაადასტურა.

— წარსულის წლის ნოემბერში შესდგა სამთო ინსტიტუტის სტუდენტთა ამხანაგობა, რომელსაც აზრად აქვს შეისწავლოს და გამოიკვლიოს ტეხნიკურ-სანიტარული მდგომარეობა ფაბრიკა-ქარხნებში შრომისა. ამხანაგობას აქნობამდე არ შეუწყვეტია მოქმედება. კრებაზე გაცხარებული კამათი ჩამოვარდება ხოლმე ისეთ საკითხების შესახებ, რომლებიც სამთო-სასანიტარო საქმეს შეეხება. სტუდენტთა მოხსენებანი მეტად სრულად და უნაკლულოდ არის შედგენილი, რაც შედეგია პირადის დაკვირვება-გამოცდილებისა ზაფხულში პრაქტიკულ მეცადინეობის დროს.

უცხოეთი

ინგლისი. თავისს უკანასკნელ სიტყვაში, რომელიც ედინბურგში წარმოსთქვა, როზბერი ურჩევდა ლიდერებს, კრება მოახდინეთ და საერთო საპოლიტიკო პროგრამა შეიმუშავეთო. აი, რასა სწერს ამის შესახებ ლიბერალთა გაზეთი „Daily News“-ი:

„ლორდ როზბერის რჩევა ჯერ არავის მოუყვანია სისრულეში, მაგრამ თვით აზრი დიდად მოიწონა ყველამ, ვისაც იგი შეეხებოდაო. გაზ. «Press Association»-ის სიტყვით, ადვილად შესაძლებელია, რომ ახლო მომავალში პრაქტიკულადაც განახორციელონ იგიო. ზედა და ქვედა პალატათა ლიბერალნი, უმეტეს ნაწილად, იმ აზრისანი არიან, რომ კემბელ-ბანერმანი და ლორდ როზბერი უკანასკნელ ხანებში მშვიდობიანად და თავაზიანად ეკიდებოდნენ ერთმანერთსა და შესაძლოა შესთანხმდნენ საერთო სამოღვაწეოთაო. ამბობენ, თუ რამე შეთანხმება მოხდა მათ, ან მათ მოადგილეთა შორის, კერძო ხასიათისა იქნება და არა ოფიციალურიო“.

გაზ. „Standard“-ის სიტყვით, ლიდერთა მოლაპარაკება, ალბად, 1903 წლის სესსიის დაწყების წინ მოხდებაო. შეიძლება ამ კრებაზე ლორდ როზბერიც მოიწვიონ, თუმცა იგი ოფიციალურ ლიდერად არ ითვლება, მაგრამ მაინც დიდი გავლენა აქვს ამ დასზეო.

— ქალაქ ბირმინჰამში დიდის ამბით უპირობენ გაცილებას ლორდ ჩემბერლენს, რომელიც სამხრეთ-აფრიკას მიემგზავრება. მის პატივსაცემლად გამართული იქნება გამოსათხოვარი მეჯლისი, რომელსაც საღამოს მოჰყვება დიდი სეირნობა ჩირაღდნებით. ადგილობრივ ლიბერალ ამხანაგობათ გადასწყვიტეს მონაწილეობა მიიღონ მინისტრის პატივსაცემლად გამართულ დღესასწაულში, რადგან მისი სამხრეთ-აფრიკას გამგზავრება ერთხმად მოიწონა ყველა დასმაო.

— ვოლფის სააგენტო იუწყება, ირლანდიელი დეპუტატი ვილიამ რედმონდი (უმცროსი ძმა ნაციონალისტთა დასის მეთაურის ჯონ რედმონდისა) კინგსტოუნში (ირლანდიაშია) დააპატიმრეს სწორედ იმ დროს, როცა გემიდან ჩამოდიოდა, და კილმენჰამის საპყრობილეში გაჰგზავნესო.

რედმონდს ერთ სახალხო ყრილობაზე სიტყვა წარმოეთქვა, რომლისათვისაც სამართალში მისცეს იგი. სასამართლომ მოსთხოვა თავმდები მოგვეცით, რომ მომავალში მაინც კეთილ-საიმედოდ მოიქცევით, თორემ ექვსი თვით ჩაგსვამთ ციხეშიო. რედმონდს თავმდები არ წარუდგენია, და ამისათვის დააპატიმრეს.

ავსტრია-უნგრეთი. გაზეთ „Pester Lloyd“-ში ისეთი წერილია დაბეჭდილი ავსტრიის მინისტრ-პრეზიდენტ ფონ-კერბერის წინააღმდეგ, რომ მთელი საზოგადოება მარტო-და მის შესახებ ლაპარაკობს. წერილი ოფიციალური ხასიათისაა და, როგორც ეტყობა უნგრელის მიერ უნდა იყოს დაწერილი.

ავტორი ამტკიცებს, კერბერს ახირებული იმედი აქვს უნგრეთის განუსაზღვრელ მოთმინებისა საბაჟო შეთანხმების საქმეშიო, იგი ტყუილად სცდილობს სელლის ფორმულადგან ის აზრი გამოიყვანოს, ვითომ შეთანხმების უმთავრესი მუხლების დაუმტკიცებლობა 1907 წლამდე შეიძლებაო, ე. ი., სანამ უცხო სახელმწიფოებთან დადებულ სხვა-და-სხვა ხელშეკრულობას არ გაუვა ვადაო. გარდა ამისა გაზეთი ჰგონებს, ხანგრძლივმა უმოქმედობამ ავსტრიის პარლამენტისა და იმ გზამ, რომელსაც ავსტრიის მთავრობა ადგია საბაჟო შეთანხმების საქმეში,—ეჭვი დაჰბადა, რომ კიდევ მოხერხდეს საპოლიტიკო და საფინანსო ერთობა მონარქიის ამ ორ ნახევართა შორის და სწორედ ესაა დღეს მიზეზი საბაჟო უთანხმოებისაო. პირადად კერბერს იმ ბრალსა სდებს გაზეთი, რომ უნგრეთს თანდათან უპირობს შევიწროებასა და მით უნდა დაჰფაროს შინ წამხდარი საქმეებიო, ე. ი., ჩვენის დაჩაგვრით გამარჯვებულის სახელი უნდა მიიხვეჭოს და მით თვალი აუხვიოს ავსტრიელებს, რომელთაც მაინცა და მაინც გული არ უყვავისთ მინისტრ-პრეზიდენტზეო. თუ ამ წერილში მართლა უნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტ სელლის აზრია გატარებული, ცხადია, რომ კერბერი იძულებული გახდება ჩეხებს შეურიგდეს და მათის შემწეობით მაინც როგორმე გავიდეს ფონს, თორემ სხვა ღონისძიება მას არ მოეპოვებაო.

— უნგრეთის დამოუკიდებლობის მომხრეთა დასის კლუბში ბჭობა ჰქონდათ ამ დასის წევრებს იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედონ საპარლამენტო კრებების დროს. უკიდურესნი თხოულობდნენ, სელლის სამინისტროს უნდა გამოვუცხადოთ სასტიკი ომი და და ამისათვის პირდაპირ ობსტრუქციას მივმართოთო. მაგრამ უმრავლესობამ დაადგინა, ზომიერების ფარგალს ნუ გავსცდებითო; ჩვენ ენერგიული წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ მთავრობას, მხოლოდ განსაკუთრებულს, პარლამენტისათვის შეუფერებელ, საშუალებას ნუ მივმართავთო.

იტალია. მეწამულ ზღვაზე იტალია-ოსმალეთის შეტაკების მიზეზი თავდაპირველად ის იყო, რომ მიდდის მეთევზები (მიდდი—მცირე ქალაქია ზღვის პირად, ჰოდეილის ნავთსადგურის მახლობლად, არაბეთის პროვინცია იემენში) თავს ესხმოდნენ და არბევდნენ დალოკის კუნძულებსა, რომელნიც იტალიას ეკუთვნის. იტალიის მთავრობამ მოსთხოვა პორტას.—შენი ქვეშევრდომნი მეკობრენი ალაგმე და ჩემს ქვეშევრდომ დალოკის მცხოვრებთ სავსებით უზღე, რაც ზარალი მოუვიდათ მეკობრეთა ცარცვა-გლეჯითაო. ოსმალეთის მთავრობამ ჯარი გაჰგზავნა მათ ასალაგმავად, მაგრამ საზღაურის შესახებ-კი ყური მოიყრუა. იტალიამ იწყინა ამ გვარი საქციელი ოსმალეთისა და ამისათვის გადასწყვიტა დიდის დემონსტრაციის მოხდენა ზღვაზედ მიდდის მახლობლად. ამ დემონსტრაციამ, როგორც დეპეშიდგან ვუწყით, ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ოსმალეთზე.

ოსმალეთი. გაზ. „Neve Freie Presse“-ის სტამბოლელ კორესპონდენტს საუბარი ჰქონია ერთს დიპლომატთან, რომელსაც თურმე „არავითარი წინასწარი აზრი“ არა ჰქონია მაკედონიის საქმეთა შესახებ. დიპლომატს განუცხადებია:

„ნამდვილი აჯანყება მაკედონიაში არ არის და არცა ყოფილა. მაკედონიის არეულობა ამ ჟამად ორ მოწინააღმდეგე კომიტეტთა მეტოქეობამ ჩააქრო, თუმცა, უნდა გამოვტყდე, მდგომარეობა ჯერ კიდევ მეტად სახიფათოა. თუ აქნობამდე არ მოხდა ნამდვილი აჯანყება, ეხლა მაინც ეჭვს გარეშეა, რომ იგი კარზედაა მომდგარიო. არა ნაკლებ მკვიდრ ქრისტიანეთა, დრტვინავენ მკვიდრი მუსულმანნი: თითქმის ყველანი ერთნაირად არიან მთავრობისადმი ზიზღითა და სიძულვილით გამსჭვალულნი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგინი შეერთებულის ძალით შეეცდებიან აუტანელ მდგომარეობიდგან თავის დაღწევას. ეს-კი, უეჭველია, ძალადობასა და სისხლის ღვრას გამოიწვევს. მართალია ბულგარელი აგიტატორები დიდის გატაცებით და თავგანწირულობით მოქმედობენ, მათი წმინდა სურვილია—იხსნან სამშობლო მტარვალის ხელიდგან, მაგრამ საქმე ძალაა, მარტო სურვილი არა კმარა. სულ სხვანაირად დატრიალდება საქმე, რომ რომელიმე დიდი სახელმწიფო ამოიღებდეს ხმას, მხოლოდ ხმას; მაკედონელებისათვის იმედი და თანაგრძნობაა საჭირო: მაშინ ერთბაშად იფეთქებს აჯანყება. რამდენ ხანს შესძლებს ბულგარიის მთავრობა შეაჩეროს ბულგართა მღელვარება—ძნელი სათქმელია, მაგრამ დიდი სახელმწიფოები, რომელთაც ბერლინის ტრაქტატზე უწერიათ ხელი, ჰგონებენ, რომ მოახლოვდა ამ აუტანელ მდგომარეობის დასასრულიო. ევროპის დიპლომატებმა კარგად უნდა გაითვალისწინონ, რასაც მოჰყვება უარესი შედეგი: დიდ სახელმწიფოთა მშვიდობიანს შუამდგომლობას, რომ დაკმაყოფილებულ იქმნას მაკედონიის კომიტეტის კანონიერი მოთხოვნილებანი,—თუ აჯანყებასა და საშინელს სისხლის ღვრას, რომელიც უეჭველად მოხდება, თუ მაკედონია აწინდელს მდგომარეობაში დარჩაო.

სამზღვარ-გარედ

იტალიაში მოგზაურობა. (კორესპ.) ბევრ რამეს ისწავლის კაცი იტალიაში, თუნდა ცოტას ხანსაც რომ დარჩეს. წლევანდელ მოგზაურობის დროს მოწამე ვიყავ იმისი, თუ რაოდენად გულ-შემატკივარია იტალიის ხალხი, როცა საზოგადო რამ უბედურებას ხედავს. გულ შემატკივარია დიდად, თუმცა ღარიბი ხელ-მოკლე კია. როცა სეკდემბერში სამხრეთ იტალიასა და სიცილიას დიდი უბედურება ეწია გამუდმებულ წვიმებისა და წყალ-დიდობისაგან, ყველა ქალაქი, შორეულ და ჩრდილო ქალაქ მილანიდან დაწყებული, ისწრაფოდა დახმარება აღმოეჩინა დაზარალებულთათვის უხვის შეწირულებით ფულად და ნივთიერად. სია შეწირულებათა და შემწირველთა განუწყვეტლივ იბეჭდებოდა გაზეთებში და მთელი სვეტები ეჭირა. ხოლო მილანში ახალი წესიც-კი იქმნა შემოღებული შეწირულებათა მოსაგროვებლად: შეწირულებას აგროვებდნენ დიდ-დიდ ჯგუფებად მოსიარულენი ქუჩებსა და მოედნებზედ. მოსიარულენი ხშირად ჩერდებოდნენ აქა-იქ. მათ შორის იყვნენ ქალაქში ცნობილნი ქალნი და კაცნი. ამ გზით დიდ-ძალი შემოწირულებანი იქმნა მოგროვილი. იყო მაგალითები, რომ ქალები იხსნიდნენ ოქრო-ვერცხლის სამკაულს დ̆ სწირავდნენ დაზარალებულთ. ერთმა ფერმერმა გაიძრო სერთუკი დ̆ გადასცა შეწირულობათა შემგროვებელთ, წაიღეთ, იქნება რომელსამე ჩემის ტანის დაზარალებულს გამოადგესო.

მილანში მოგონილი წესი შეწირულობათა მოგროვებისა დიდის წარმატებით სცადეს სხვაგანაც. რომში კვირანალ ქვეშ გაყვანილ ახალ გვირაბის კომპანიამ შესწირა სულ, რაც ორს დღეში აიღო ამ გვირაბში მოსიარულეთაგან.

მერე იტალიაში უცაბედად მოვლენილი უბედურება ხშირია, რადგან ტროპიკული წვიმები იცის და ბევრია აქ ცეცხლ-მფრქვეველი მთებიცა. წელს წმ. მარკოზის სამრეკლოს ჩამოქცევამ ვენეტიკში, ძლიერ შეაფიქრიანა იტალიელები; შეეშინდათ, ვაი თუ ხელოვნების სხვა ძეგლნიც დაგვეღუპოს და მერე ისიც არა მარტო ვენეტიკში, არამედ ყველგან სხვაგანაცაო.

გარნა სისტემატიურმა, კეც-კეცად ნანგრევების აკრეფამ და მოგროვებამ წმ მარკოზის სამრეკლოსამ დაამტკიცა, რომ მის დანგრევაში ყველაზედ ნაკლებ ჰქონდა ბრალი ვენეტიკის ნიადაგის სიბოშეს. აღმოჩნდა, პირ-იქით, რომ ჩამოქცევის მიზეზი ყოფილა ცოტად თუ ბევრად იმათ დროზედ არ შემჩნეული ბოროტ-მოქმედება, რომელნიც განაგებდნენ ამ ისტორიულ შენობას. აღმოჩნდა,

---

და ამიტომაც იყო, რომ მღვდელი ას თუმან ნაღდ ფულს იძლეოდა და 500 მ. მზითევს.

მოაწია ქალის სანახავად წასვლის დრომაც და ერთ მზიან ზამთრის დილას მიტრომ ცხენის ურმით დედა გაისტუმრა, „კუჩრად“ მამა გაატანა და ესეც დაბარა: არამცა და არამც არა სთქვა, რომ შენ ჩემი მამა ხარ, თორემ, თუ შენის მიზეზით, მე საქმე ჩამეშალა, ვაი შენი ბრალიო.

— აბა, დედი, გასწით, ნახე ქალი, იმათი ოჯახი, დღეს უკანასკნელად მოილაპარაკეთ და მე და ნიკო ფერშალი ხვალ შუადღისას მოვალთო.

მეორე დღეს მიტრო და ნიკო ფერშალი დაეთხოვნენ ექიმს და გაემგზავრნენ ს. ენძელაანთ ხევისაკენ. მიტრო მთლად ჩამჯდარი იყო ბუზმენტებსა და და ვერცხლეულობაში, ცხენიც ბედაური ჰყავდა, ლამაზი კოხტა უნაგირითა და გამოკვანძულის კუდით. ნიკო ფერშალი-კი სადათ იყო ჩაცმული; გარეგანი შეხედულებითაც მიტროზე დაბლა იდგა და მერანი მისი-კი სულ არღვევდა საერთო ჰარმონიას, სრულებით არ შეეფერებოდა მიტროს მაყარს ასეთი ძვალ-ტყავა ცხენი.

სანეფოს გემოვნებას ლაქიობა ეტყობოდა, მაყარი მისი-კი ზედ გამოჭრილი სოფლის დიაკვანი იყო.

გასწიეს ჩვენმა მხედრებმა. მიტრო იორღით მისრიალებდა კმაყოფილი და ბედნიერი, ნიკო ფერშალი-კი უმაყოფილო მით, რომ თითონ ვერსად გადაეყარა მდიდარ საცოლეს და მაყრობა, აბა, რა ხელ-საყრელია მერე ისეთ ჩაჩქაჩა ცხენითაო, ჯავრობდა გუნებაში.

რამდენიმე ვერსი ჩუმად გაიარეს, ბოლოს სიჩუმე მიტრომ დაარღვია, მიუტრიალდა ნიკოს და უთხრა:

— თუ ძმა ხარ, ნიკო, იქ რო წივალთ, უეჭველად მასახელე, ისეთ რამეზედ დამიწყე ლაპარაკი, რაშიაც მე გაწვრთნილი ვიყო; სიმღერაც ისეთი წამომიწყე, მე რომ მეორე ან ბანი გითხრა, აი თუნდ მურმანი, გინდ გულიმჯან, ან ნანა შვილო და სხვა. თუ რამ შემცდეს, არ გამისწორო და არ გამამტყუნო, თორემ ძლიერ ავიშლებით, იცოდე. ამას იმიტომ გეუბნები, რომ შენ გიყვარს ხანდახან უადგილო ალაგას პირში შებმა, ხალხში გამტყუნება კაცისა, ეგ როდი ვარგა. ცალკე თუ გინდა პირში მაფურთხე, მხოლოდ სხვასთან ნურას გამისწორებ, ქირივით მეჯავრება ამისთანაები.

ნიკომ პირობა მისცა, რომ მიტროს არას დაუწუნებდა; პირიქით ასახელებდა.

— ნუ გეშინიან, მიტრო, ისეთ საქმეს დავმართებ შენ სასიმამროსა და საცოლოს, რომ დღესვე კისერზე ჩამოგეკიდებიანო, არწმუნებდა ნიკო.

— სასიმამრო თუ გინდა შენ ჩამოგეკიდოს კისერზე, მე საპატარძლო მინდა, საპატარძლოვო,—მიუგო მიტრომ ამაყად.

გზაში ორივენი გამხიარულდნენ. ხან მღეროდნენ, ხან ოხუნჯობდნენ და იცინოდნენ, ხან პაპიროსს გააბოლებდნენ, ხან-კი ორივენი ჩაფიქრდებოდნენ.

VIII

შუა დღე იქნებოდა, რომ ჩვენი ნაცნობები სოფელ ენძელაანთ ხევში მივიდნენ და კაკალ შუა სოფელში ჩაირიხინეს. სანეფოს ძლიერ თავმომწონედ ეჭირა თავი. ზედ გამოჭრილი კნიაზი იყო. მისი მაყარი-კი ძალზედ დაღლილი, მოკუზულიყო ჩაჩქაჩა ცხენზე და ცნობის მოყვარეობით აქეთ-იქით იყურებოდა. გზაში რამდენიმე გლეხ-კაცი შეხვდათ:

— კნიაზს გაუმარჯოსო!—ესალმებოდნენ ქუდის მოხდით მიტროს.

— ზრაჰტი, ზრაჰტიო!—უპასუხებდა მათრახის ჰაერში გატკაცუნებით მიტრო; ნიკო-კი სულ სოფელს ათვალიერებდა.

ეს სოფელი თავისის მდებარეობით, ლამაზი და კოპწია ქვითკირისა და ზოგან ხის სახლებით, განიერ სუფთა ქუჩებით, შუაში ჩამომდინარ ანკარა და შხუილა ღელეთი, მშვენიერი სანახავი იყო. ირგვლივ დაბურული ტყეები ერტყა და ჩრდილოეთით, ამაყად და დიდებულად წამოყუდებული მუდამ თოვლით დაფენილი კავკასიის ბუმბერაზი მთები გადმოსცქეროდა. რაღაც ევროპიული სუნი უდიოდა იქ ყველაფერს.

შუა სოფელს რომ მიაღწიეს, უეცრივ მოესმათ ხმა მელასი. მოიცათ, შვილებო, მოიცათო,—იძახდა, მხედრებმა შეაჩერეს მერნები, ჩამოხდნენ და მიეგებნენ მელას.

— როგორაა საქმე?—იკითხა მაყარმა.

— იიფ! ძლიერ კარგად, შვილო, ძლიერ კარგად. ასეთი ბედი შენც შეგყაროს ღმერთმა შვილო ნიკო, რა ბედიც ჩემ მიტროს არგუნა უფალმა,—წარმოსთქვა მელამ კმაყოფილის ღიმილით და შვილის მხრებს ემთხვია.

მიტრო-კი იდგა გამოჯგიმული.

— რაო, დედი, ხომ არ იბერებიან? ხომ იძლევიან, რაც უთქვამთ, ა?

— როგორ არა, შვილო, ღვდელი და მისი ოჯახობა ძაან გახარებულები არიან, ო, რა ოჯახია, რა ოჯახი, შვილებო, არც ვაჟი ჰყავთ და არც სხვა მოცილე.

— ჩვენზე უკეთესი მაინც არ იქნებიან. ეხ, წავიდეთ, გავათაოთ ეს საქმე, თუ არა და ბევრს კი არ შევეხვეწებით. სადა გვცალიან, ათასი საქმეები მიგვიტოვებია, ჩვენ ბალნიცის ხალხნი ვართ, ბალნიცისა,—წარმოსთქვა მიტრომ და ნაბიჯი გადადგა წინ. სამნივე გაემართნენ ფეხით.

მივიდნენ დანიშნულ ადგილას. დაინახეს თუ არა ღვდლიანთ სასიამოვნო სტუმრები, იმ საათში ერთი ფაცი-ფუცი შეიქნა, ერთი განკარგულება, ჩურჩული. ქალები სახლში შეცვივდნენ, მამაკაცები აივნიდგან ეზოში ჩამოვიდნენ, ბიჭმა ალაყაფის კარები გააღო და ეშხიანი სანეფო ბედაურის ცხენით, მისი მაყარი, თავისის უბრალო ჩაცმულობით და და ქეციანი მერანით შებრძანდნენ მასპინძლის ხელის გულივით გაშლილ და უზარმაზარ ეზოში.

იმ დროს მიტროს მამა აზარიაც იქ იყო, მაგრამ ახლო მოსვლას ვერ ჰბედავდა, იდგა შორს „კუხნის“ კარებთან.

მასპინძლებმა და სტუმრებმა გაიცნეს ერთმანეთი, გაიცნეს აგრეთვე სოფლის ორი-სამი ინტელიგენტი და მათ შორის სოფლის მასწავლებელი ტიტო გავარდაშვილი, ღვდლის ცოლის ძმა, კაცი განვითარებული, ჭკვიანი და ეშმაკი. ბოლოს ქალიც გამოიყვანეს.

ქალი მშვენიერი სანახავი იყო, მაღალი და შავ-თვალ წარბა, ცეცხლის მფრქვევის თვალებით და სადა ევროპიულ ტანისამოსით. საზოგადოდ მისი გარეგნობა ფრიად ინტელიგენტური იყო.

მისი გამოსვლა და ნიკო ფერშლის გულისა და სულის შეფართხალება ერთი იყო. ქალი დაინახა და მთელს მის არსებაში რაღაცამ დაიელვა, გულმა დაიჰქა და სიყვარულმა მოწყურებულ მოშივებულმა თავი ამოჰყო. ნიკო მოიწამლა უკვე და ეხლა ამ პროცესსის უკან გატრიალება ძლიერ და ძლიერ საძნელო საქმე იყო.

ნინა,—ასე ეძახდნენ საპატარძლოს,—მისმა დედამ და რავდენმამე სხვა ქალმა შემოიყვანეს.

— მოდი, მოდი გენაცვალოს შენი მელანია, აი ეს არის, შენიჭირიმე, შენი საქმრო და ჩემი შავარდენი,—მიჰმართა დაყვავებით ნინას მელამ. ამ დროს მიტრო ნიკოს გვერდით იდგა გამოპრანჭულ-გამოჭიმული, ნიკოზე არა ნაკლებ მოხიბლული და აღელვებული, ცალი ხელი ხანჯალზე ეჭირა, მეორე-კი რევოლვერზე ედო.

დედის სიტყვების შემდეგ, სწრაფად მიატოვა თავისი პოზიცია და ეშხიანად გაჰქანდა ქალისაკენ.

— ნება მიბოძეთ, გამოგეცნაუროთ: ფერშალი დიმიტრი ჰედილაშვილი,—მიესალმა მიტრო პოლიტიკურის ღიმილით.

— დიდად სასიამოვნოა! მე ნინა გოდერძიშვილისა გახლავარ,—მიუგო ქალმა სერიოზულის სახის მეტყველებით.

ყველანი დასხდნენ. სტუმარ-მასპინძელნი, გარდა მიტროსი, მასლაათს მოჰყვნენ. მიტრო-კი იჯდა გაბუტულივით ნინას პირდაპირ და პირ ნერწყვ მოსული ქალს გაშმაგებული ათვალიერებდა. ხანდახან ქალისა და მიტროს თვალები ერთმანეთს შეჰხვდებოდნენ, მაგრამ ნინა ვერ უძლებდა ამ უზრდელ თვალების ბრიალს და სირცხვილისაგან წამოწითლებული თავ დაბლა ჰხრიდა.

ტრ. რამიშვილი.

(შემდეგი იქნება)

მაგალითად, რომ, როცა ამ შენობაში მცხოვრებთ მოუნდებოდათ, შიგ კედელში იკეთებდნენ საკუჭნაოს, განჯინას და, ასე გასინჯეთ, ფეხის ადგილებსაც-კი, მეტადრე ძირის სართულში უთხრიათ ასე კედლები, რის გამოც სისქე კედლებისა ნელ-ნელა კლებულობდა და ბოლოს დადგა დრო და მთლად სამრეკლოც გადმოიქცა. ამ ჟამად ჰფიქრობენ ეს ძეგლი კვლავ აღადგინონ. ეს, რასაკვირველია, ძრიელ ძვირად დაჯდება, მაგრამ სახელმწიფო არ ერიდება ამ დიდს ხარჯსა, რადგან მთავრობის აზრით, ეგ ხარჯი მარტო ვენეტიკმა-კი არ უნდა მიიღოს, არამედ მთელმა იტალიამ Soligarita Italiana-ს მოსაზრებით. ინგლისის გაზეთებში იყო ნათქვამი, რომ წმ. მარკოზის სამრეკლოს აღსადგენად საჭიროა საერთაშორისო ხელის მოწერა კაიმართოსო, მაგრამ იტალიელებს კიდევაც ეწყინათ, თუმცა ყველამ იცის, საზოგადოდ, იტალიის ხელ-მოკლეობა და ყოველ-გვარ გადასახადით მძიმედ გაბეგვრა.

ცნობილია, რომ აქ არსებობს ბაჟი თამბაქოზედ და მარილზედა და ეს საქონელი იყიდება ან სახელმწიფო დუქნებში, ან ხაზინის მოხელეთა ზედამხედველობით. თითოეულს ამისთანა დუქანში ისყიდება აგრეთვე გერბის ქაღალდიცა და ფოსტის მარკებიც ხაზინის მიერ გადაწყვეტილ ფასით. ფოსტის დიდს კანტორებში არ ჰყიდიან მარკებსა და ჰგზავნიან მუშტარს პაპიროზების დუქანში. ეს მოხერხებული საქმეც არის, რადგან ამის გამო ფოსტის კანტორაში ნაკლებად ჯგუფდება ხალხი.

წელს შევნიშნე ამ დუქნებში ერთი ახალის წესის შემოღებაცა: მინისტრის ბრძანებით, ამ დუქნებში დაუწყვეს ყიდვა, იცით რასა? ქინაქინას. იტალიაში მალიარია (ციებ-ცხელება) არა ნაკლებ გავრცელებულია, ვიდრე კავკასიაში და ქინაქინა პირველ საჭიროების საგანია. სასურველია, რომ რუსეთშიც, საცა უკვე შემოღებულია სახელმწიფოს მიერ გაყიდვა სასმელებისა, სახაზინო დუქნებში იყიდებოდეს, როგორც იტალიაში, ფოსტის მარკებიც, გერბის ქაღალდიცა და ქინაქინაცა. აფთიაქებიცა, ფოსტა და სახაზინოებიც ჩვენში ხომ უფრო ხშირად არ არიან, ვიდრე იტალიაში?!.

სხვა-და-სხვა წერილები

რას ნიშნავს სიტყვა

რუს

ბ-ნ კნაუერ პროფესორის

რეფერატის გამო.

1899 წ., როგორც მოგეხსენებათ, კიევში მოხდა არქეოლოგთა XI კრება, რომლის ანგარიში ორ ტომად გამოვიდა გრაფის უვაროვის ცოლისა და ს. ს. სლუცკის რედაქტორობით. ამ ანგარიშში, სხვათა შორის, მოთავსებულია რეფერატი კნაუერ პროფესორისა, თუ „როგორ წარმოდგა სახელი **რუსის** ხალხისა“. კნაუერ პროფესორი ამტკიცებს, ვითომც სლავური ელემენტი იყოს **რუს** სიტყვაში და წარმოებდეს **რუსა, როსა, რა** სიტყვისაგან, რომელიც ჰრქმევია თურმე ძველად ვოლგის წყალს. აი სწორედ ამის გამო მინდა გავუზიარო ქართველ ფილოლოგებს მცირე მოსაზრება.

წინააღმდეგი როდი ვარ, რომელსამე ხალხს წყლისაგან დარქმეოდეს სახელი ისე, როგორც თათართა ერთ ტომს, რომელიც ვოლგის ნაპირად, სლავთა შორის მკვიდრობდა, ეწოდა **ბოლგარი**, ჩვენებურად ვოლგელი. მაგრამ, ეჭვი არ არის, ხალხს თავისი საკუთარი სახელიც ჰქონდა, ვიდრე მდინარის, ან მთის სახელს მიიღებდა და უნდა დავიწყებოდა, მხოლოდ განსაკუთრებულის გარემოების წყალობით, როგორც დაემართათ ვოლგელ თათრებსა და აწინდელ ქურთისტნის მცხოვრებთ, და ან ცნობილ იყვნენ ახალი სამშობლოს სახელით, როგორც მოუვიდათ არმენიის ხალხსა*) ჩვენის აზრით-კი **რუს** სიტყვა უნდა წარმომდგარიყოს **რუსა, როსა, რა** სიტყვებისაგან კი არა, არამედ **რის** სიტყვისაგან, რომელიც დღეს ცხენის ერთნაირ სიარულს ნიშნავს და ძველად-კი თვითონ ცხენს უნდა ჰრქმეოდა, რადგანაც ნათესაობა აქვს **როს** გერმანულ და **რაშ** ქართულ სიტყვებთან, რომელნიც ცხენად ითარგმნებიან. ხოლო მის ასახსნელად, თუ **რის** პირველად წოდებითი სახელი ცხენისა რად მიეთვისა მის მოქმედებას—სიარულს, კმარა ანალოგიაც ქართულის ენისა, სადაც **ჭან**, რომელნიც ძველად ცხენს ნიშნავდა, დღეს ნიშნავს მის ერთგვარ სიარულს—ჭენებას, სწორეთ ისე როგორც სლავური **რის**.

იმისი-კი, თუ ცხენის სახელი რად დარქმევია სლავთა ერთ ტომსა, უნდა მოგახსენოთ, რომ ძველად ხალხები ხან-და-ხან ერთმანერთის ცხოველების სახელებსაც უწოდებდნენ. მაგალ., რომაელები აწინდელ საფრანგეთს ეძახდნენ **გალიას**, ხოლო მის მკვიდრს—**გალუს**, რომელიც ნიშნავს მამალს. სპარსნი და არაბნი დღესაც ჩვენს ქვეყანას ეძახიან **გურჯისტანს** და ჩვენ—**გურჯს**, ან **გურგს**, რომელიც ნიშნავს მგელსა. ამის გამო, გაკვრით ვთქვათ, ვახტანგ პირველის სახელწოდება გურგ ასლან უნდა ითარგმნოს ქართულად მგელ ლომად-კი არა, არამედ ქართველ, ანუ საქართველოს ლომად. ხალხისთვის პირუტყვის სახელის დარქმევაში არც ჩვენ ჩამორჩენილვართ რომაელებსა და სპარსელებს და ჩვენ მოძმეთა ერთის თემისთვის გვიწოდებია **ჭანი**, რომელიც იგივე **ჭენია** და ნიშნავს ცხენსა.

აი ამ რამდენისამე მაგალითის მიხედვით შესაძლებელია არა ნაკლების ცხად ყოფით და უეჭველობით, ვიდრე კნაუერ პროფესორი ბრძანებს, ითქვას, რომ როგორც **გალუს, გურგ** და **ჭან** სიტყვებს, ისე **რუს** სიტყვასაც ერთნაირი განმარტება უძევს საფუძვლად.

ხოლო **რა** სიტყვა, რომელიც არის თურმე ძველი სახელი ვოლგის წყლისა, უნდა ნიშნავდეს წყლის მოძრაობას, ანუ მდინარებას, რადგანაც მისი, **რეკა** და **რუჩეი** სიტყვების ძირი ჰგავს **არუ** სომხურ და **რუ** ქართულ სიტყვებს, რომელნიც აღნიშვნენ პატარა წყალს და ყველა-კი როგორც რუსული **რა, რეკა, რუჩეი**, ისე სომხური **არუ** და ქართული **რუ** ენათესავება **რეო** ბერძნულ სიტყვას, რომელიც ნიშნავს დენას, მდინარებას, ასე რომ ხალხის სახელი **რუს** სხვა არის და ვოლგის ძველი სახელი **რა** კიდევ სხვაა და პირველის წარმოება მეორისაგან ჩვენის ფიქრით შეუძლებელია, რადგანაც მხოლოდ გარეგანი მსგავსება აქვსთ.

კლდია.

ბიბლიოგრაფია

ედუარდ გიბბონ. Исторія упадка и разрушенія римской имперіи, 7 ტომი

სახელოვანის ისტორიკოსის თხზულებაში მოთხრობილია თავ-გადასავალი რომის იმპერიისა ქრისტიანობის დასაწყისიდგან მე-XV საუკუნის დასასრულამდე. გზა-და-გზა ავტორი შეეხება აგრეთვე ყოფა-ცხოვრებას ყველა იმ ერთა, რომელთაც რაიმე დამოკიდებულება ჰქონდათ რომთან. მისს წიგნებში ცოტა არ არის ცნობები საქართველოს შესახებაც...

ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორი იყო კონსტანტინე (1448—1453), გამეფდა თუ არა, თავისთვის მეუღლის ძებნას შეუდგა. ვენეტიკის დოჟის ქალის შერთვა უნდოდა, მაგრამ დიდ-კაცობა წინააღმდეგი გაუხდა. შემდეგ განიზრახა შეერთო საქართველოს მეფის ასული, თავის პროტოსფათარს ფრანცას უბრძანა წამოსულიყო საქართველოში და მეფის ასული დაეწინდა. ფრანცაც წამოვიდა ძვირფასად მორთულ ხომალდით და დიდის ამალით, მემუსიკეებით და სხ.

მისმა მოციქულობამ ორს წლამდე გასტანა.

საქართველოში რომ შემოვიდა და ტფილისისკენ გამოემგზავრა, მოქალაქენი და სოფლელნი მრავლად ეგებებოდნენ და აღტაცებით ისმენდნენ ბერძენთა მემუსიკეების დაკვრას.

ამ სოფლელთა შორის ფრანცამ ნახა ერთი ასის წლის მოხუცი, რომელიც ხალხს უამბობდა იმ საკვირველებათ, რომელნიც ენახა ინდოეთში. იგი პორტუგალიით დაბრუნებულიყო.

ფრანცას მოეწონა საქართველოს მეფის ასული *) და თავისი აზრი აცნობა იმპერატორს. მომავალ იმპერატრიცის მამამ თავის ასულს მზითვად განუკვეთა 56,000 დუკატი და ყოველ წლიურად 5,000 დუკატი. ფრანცასაც აღუთქვა ქართველთა მეფემ, რომ მომავალი იმპერატრიცა მფარველობას გაუწევს შენს ასულსაო.

ფრანცა რომ დაბრუნდა, საქორწინო ხელშეკრულობა დაამტკიცა ბერძენთ ხელმწიფემ სამის ჯვრის დასმით ოქროს სიგელზედ და ქართველთა ელჩი დაარწმუნა მომავალს გაზაფხულს პატარძალს წამოიყვანთო. შემდეგ იმპერატორი გადეხვია ფრანცას, დიდი მადლობა გადაუხადა ერთგულ სამსახურისათვის და უთხრა: „მომავალს გაზაფხულს კვლავ უნდა წახვიდე საქართველოს იმპერატრიცის მოსაყვანადო“.

— თქვენი ნება აღსრულებულ იქმნება, ხელმწიფევ, მოახსენა ფრანცამ...

ამგვარს მზადებაში იყვნენ, რომ მურად მე-II შემოერტყა კონსტანტინეპოლს და მედგარის ბრძოლის შემდეგ აიღო მსოფლიო ქალაქი, რომლის კარებთან სასიკვდილოდ დაიჭრა ქართველი სიძე-იმპერატორიც (1453 წ.)

ევროპის მცხოვრებთა რიცხვი 1779 წ. (გიბბონ, 1,60):

გერმანიაში იყო . . .	24,000,000
საფრანგეთში „ . . .	22,000,000
უნგრიასა, ტრანსილვანიასა და გალიციაში „ . . .	8,000,000
იტალიასა და კუნძულებზე .	12,000,000
ისპანიაში „ . . .	10,000,000
პორტუგალიას „ . . .	2,225,000
ინგლისსა და ირლანდიას . .	8,000,000
რუსეთში „ . . .	14,000,000
პოლონეთში „ . . .	6,000,000
ოსმალეთში „ . . .	8,000,000
შვეციაში „ . . .	2,500,000
დანიასა და ნორვეგიაში . .	2,500,000
პრუსიაში „ . . .	1,200,000
ნიდერლანდიაში „ . . .	2,125,000
შვეიცარიაში „ . . .	2,000,000

ჩვენც არ უნდა ვიცოტავოთ, რომ ქართველთა რიცხვი სწორედ ამავე ხანებში მილიონზედ თუ მეტი არა, ნაკლები არ იყო.

მ. ჯ.

წერილი
რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით, ზოგიერთ უსამართლო საყვედურის ასაცდენად, საჯაროდ დავამოწმო, რომ „კვალის“ უკანასკნელ №-ში ბ-ნ ვლ. ალექსი-მესხიშვილი ჩემს შესახებ მართალსა სწერს: მე სწორედ ჩემის კერძო საქმეების გამო ვერ მივიღე მონაწილეობა წრეულს ქუთაისის სათეატრო დასში, თორემ მესხიშვილის მიერ მიწვეული ვიყავი.

თქვენი პატივისმცემელი და სხვ. ქუჯი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

30 ოკდომბერი

ყაზანი. ჰყინავს.

რუშჩუკი. საზეიმო სადილზე ბოლგარიის მთავარმა წარმოსთქვა შემდეგი სადღეგრძელო: „ვეგებები ბოლგარიაში დიდის სტუმრის მობრძანებას, რომელიც ამტკიცებს ორთავე ქვეყნების მეგობრობას. მე და ჩემი მთავრობა ვეცდებით განვამტკიცოთ კარგი განწყობილებანი და დიდ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია თვით ეს მობრძანება ბოლგარიის განთავისუფლების 25-ის წლის თავს. ვსვამ სადღეგრძელოს მეფისა, დედოფლისა, დინასტიისა და რუმინიის მშვიდობისათვის“. მეფემ მადლობა გადაუხადა სიყვარულით დახვედრისათვის მთავარს ლაშქარს და ერს და სთქვა, რომ ვსვამ სადღეგრძელოს მთავრისა, მის დედისა და ბატონიშვილებისა. ორივე სიტყვებს აღტაცებით მიეგებნენ.

კიევი. შეიპყრეს კიევის საბირჟო მაკლერი დავიდოვსკი, რომელსაც ჰბრალდება ქურდობა და გრაფ შუვალოვის 300,000 მან. ღირებულ თამასუქის ყალბ-ქმნა. შეიპყრეს აგრეთვე ცოლი უმთავრეს დამნაშავის საბირჟო მაკლერის სლოინიმსკისა, რომელიც მიიმალა. შეპყრობილნი ციხეში შეამწყვდიეს.

პეტერბურგი. წაბრძანდნენ საბერძნეთს დიდი მთავრინა ელენე ვლადიმერის ასული უავგუსტოეს მეუღლის მეფის ძით ნიკოლოზით.

31 ოკდომბერი

კონსტანტინოპოლი. იტალიის ელჩმა აცნობა პორტას, რომ იტალიის მთავრობა ოსმალეთის ელჩის ცნობებით მეწამულის ზღვაზე გაცარცვის შესახებ დაკმაყოფილებულია.

ნიუ-იორკი. სავაჭრო პალატის შენობის კურთხევის დროს რუზველტმა სთქვა; ამერიკამ თავის მოქმედებით კუბასა და ჩინეთთან დაამტკიცა, რომ მისი სურვილი ისაა, რომ სუსტი, უძლური სახელმწიფოები ფეხზე წამოდგეს და დამოუკიდებელი შეიქმნეს. დიდსა და ძლიერს სახელმწიფოებთან ამერიკას სურს მშვიდობიანობა და მეგობრობა იქონიოს, რომ მისი მოქმედება უსამართლობის განადგურებაა და სხვა არაფერიო.

რუაკი. იწვის კოშკი ჰერცოგი არლეანისა. შიში აქვთ, რომ ის სრულიად დაიწვისო.

ვაშინგტონი. ამერიკის ელჩი კარაკასისა იტყობინება, რომ ვენესუელის მთავრობამ იქ ადმინისტრატიული მართველობა შემოიღოვო. სამოქალაქო ომი უკვე დასრულდა.

მადრიდი. კაბინეტის შედგენა მეფეს საგასტისთვის მიუნდვია.

ლონდონი ბოტასა და დელარეის კერძო მოლაპარაკება ჰქონიათ ჩემბერლენთან, და როგორც ამბობენ, მადლიერნი არიან მთავრობის ახალშენთა ფინანსიურად დახმარებისთვისო.

პეკინი. მთავრობამ ელჩებს აცნობა, რომ ჩინეთში შესატან უცხოეთის ქსოვილებზე ბაჟი $6,{}^{50}/_{0}$ მოიმატებსო.

პეტერბურგი. „პრავ. ვესტ.“ იტყობინება, რომ ამურის საგენერალ-გუბერნატოროში 18—21 ოკდომბრამდე შავი ჭირით ერთი გახდა ავადო. ოდესაში 22 ოკდომბერს შავი ჭირით ერთი მოკვდა. 23—29-მდე არავინ გამხდარა ავად.

პეტერბურგის ბირჟა, 29 ოკდომბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	--
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,, ...	46,25
პარიჟში ,, ...	37,65
ბირჟის დისკონტი	$4^{1}/_{2}$—$6^{1}/_{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	$97^{1}/_{8}$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	$99^{1}/_{4}$ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა .	$94^{1}/_{2}$ გაყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	479 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	364 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	$290^{1}/_{4}$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	$84^{5}/_{8}$ გაყ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . .	—
$4^{1}/_{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9,950 წვ. გაყ.
აქციები ,, „ „ „	500 წვრ. გაყ.
,,კასპიის ამხანაგობისა.	4,750 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	432 გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	217 გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად. . .	—

სასამართლოს შესახები ცნობანი

ტფილისის სამოქალაქო 1-ლ დეპარტამენტში დანიშნულია შემდეგ სამოქალაქო საქმეთა განხილვა:

2 ნოემბრისათვის 1902 წ.

1. ნიკოლოზ ფხაკაძისა და ალექსანდრე ქუთათელაძის დავა 300 მანეთზედ.
2. დავით დევდარიანისა და პეტრე დალაქიშვილის საქმე.
3. ლაზარიკა და უთუია ცირკვავათა და შარვან აბრამიას საქმე.
4. დანიელ, აბრამ, ისაკა, შაფათა, ფაფაილა და სხ. ხანანაშვილების და ნესტორ ქვარიანის საქმე.
5. ელისაბედ დოლობერიძისა და ტერეზია მამაიშვილის საქმე.
6. გაბო, მელიტონ და სხ. პიპინაძეთა და ალექსანდრე და სხ. კანდელაკების დავა.
7. ივანე კორინთლის და დავით სარაჯიშვილის დავა.
8. დავით კვირკველიას და თავ. ლევან და კოწია ანჩაბაძეთა საქმე.
9. ნესტორ მხეიძესი, როსტომ, სისო და სხ. ჭანტურიძეთა, ადნეზუ და გიორგი გოგებაშვილებისა და სიმონ და გერასიმე ვარდასანიძეების საქმე.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 **ოქტომბრიდგან** 15 **მაისამდე**.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) **ტფილისიდან მიდის**:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) **ბათუმიდან გამოდის**:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წამ.).

გ) **ბაქოდგან გამოდის**:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) **ქუთაისიდგან გამოდის**:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) **ფოთიდგან გამოდის**:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე: —ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ,).

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა წლის ნოემბრის 9-ს, შუადღის პირველ საათზედ, მისის თანადასწრებით მოხდება საჯარო ვაჭრობა იჯარით გასაცემ ბაჟის აკრეფისა შემდეგ ყაფნებიდგან: **1.** ავლაბრის მოედნისა, **2.** თათრის მოედნისა, **3.** ვერის მოედნისა, **4.** მალაკანის მოედნისა, **5.** სალდათის ბაზრისა და **6.** დესსიმონის მოედნისა.

მსურველთ შეუძლიანთ პირობათა გასინჯვა ქალაქის გამგეობის კანცელარიის მე-4-ე განყოფილებაში დილ. 9 საათიდგან შუადღის 3 საათამდე.

(3—6.—1)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1902—1903 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით**. 5 **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა **და წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე გრიბოედოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს **ნ. პ. მანუელიანცს**, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მანქანაზე მუშაობას, კურსებზე სწავლა ყოველ დღე.

(24—361—24)

ამერიკულ ვაზის სანერგეში
კლდე-ყვერული

დაიწყო გასყიდვა დამყნილ ფესვ-გაკეთებულ ვაზისა, აგრეთვე საუკეთესო ადგილობრივ ბორდოსა, ბურგუნდიისა, შამპანურისა, საფერავისა, რეინისა, ყოველ-დღიურ სახმარებელ ღვინის მომცემისა და სხვა ჯიშის ვაზის რქისა. **მრავლად არის ასარჩევი** რქა და ფესვ-გაკეთებული, უკვე ყურძნის მომსხმელი გიბრიდები (აგრეთვე მათი თესლი) და ყოველ-გვარ ამერიკულ ვაზისა სამამულედ და დასამყნელად (**550** ჯიშის რქა და ვაზებია მზად სანერგეში). პრეისკურანტი უფასოდ. ადრესი წერილებისა და დეპეშებისათვის: В. Тьебо Кутаисъ.

(1—1)

---

*) მოგეხსენებათ ქურდისტანი ძველად სამკვიდრო იყო ქურდის (კარდუს, ქალდის) ერისა, რომელიც იგივე ქართუ ანუ ქორთუა, ე. ი. აწინდელი ქართველი. ხოლო არმენიაში, სომეხთა მოსვლამდე, მკვიდრობდა ქალდისავე ერთი თემი სახელად ურ, რომელიც აგრეთვე აწინდელი ქართველია, რადგანაც სომხები ჩვენს ქვეყანას უწოდებენ ვრასტანს, რომლის ძირია ურ (ვრ), საიდგანაც წარმოსდგა სომხური სიტყვები ვირაკან—ქართული, ვირახოს—ქართულად მოლაპარაკე და ვრაც—ქართველი. ბერძენ—რომაელთაც ჩვენს ქვეყანას ამის გამო უწოდეს იბერია, ივერია, რომელიც იგივე ურია. ავტორი.

*) გიორგის VIII-ს, (1445—1769).

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 октября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.